# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №16 (85) ხუთშაბათი, 26 იანვარი, 1995 ფასი 150 000 კუპონი ან 500 რუბლი


ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირი

## ზამთარი მძიმე გამოდგა. რით იმართლებს თავს შტაბი?!

გუშინ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის წევრებისშეხვედრა საწარმოთა ხელმძღვანელებთან. შეკრებას ბატონი ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა.

შეხვედრის ძირითადი ნაწილი საანგარიშო ხასიათს ატარებდა. საწარმოთა დირექტორებმა ისაუბრეს მათ მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე. მოხსენებებში დიდი ადგილი ეთმობოდა პრობლემებსა და ჯერ კიდევ გადაუჭრელ, მაგრამ გადაუდებელ საკითხებს. მათ გვერდით, დროთა განმავლობაში, თავი იჩინა ახალმა პრობლემებმა და, როგორც ყველა მოსაუბრე აღნიშნავდა, რესპუბლიკის მრეწველობა ჩიხში მოექცა. დღეს უკვე გარდაუვალი გახდა სარისკო, ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმა, რათა ქაობში წელამდე მდგარი უამრავი სფერო მთლად არ ჩაიძიროს და თან არ ჩაითრიოს ქვეყნის ეკონომიკა.

უამრავი სატკივარის გვერდით გამოიკვეთა მრეწველობის ძირითადი პრობლემები. ვერავინ აუარა გვერდი ენერგეტიკულ კრიზისს. ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდება და, ხშირ შემთხვევაში, მისი ხანგრძლივი დროით გამორთვა უამრავი სავალალო შედეგის მიზეზია. ბევრმა დირექტორმა აღნიშნა, რომ ენერგოსისტემის მოუწესრიგებლობის გამო დიდი ხნით უხდებათ წარმოების პროცესის შეჩერება. მწყობრიდან გამოდის ტექნიკური ბაზა, ბევრ შემთხვევაში შედეგი კიდევ უფრო სავალალოა. ფუჭდება შექმნილი პროდუქციის დიდი ნაწილი, მატერიალურ ზარალს რომ თავი დავანებოთ, წყალში იყრება ადამიანთა შრომა.

რამოდენიმე საწარმოს ხელმძღვანელმა გამოიჩინა ინიციატივა და შესთავაზა მთავრობის წარმომადგენლებს აქტიური თანადგომა ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსვლაში. ისინი მზად არიან გამოყონ სახსრები ელექტროსადგურების, ტრანსფორმატორებისა და საკაბელო მეურნეობების კაპიტალური შეკეთებისთვის. დაისვა საკითხი იმის თაობაზეც, რომ რამოდენიმე მსხვილ საწარმოს დაენაწილებინა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ელექტროსადგურები და პასუხისმგებლობა ეკისრათ მათ სტაბილურ მუშაობაზე. ამისთვის, მეწარმეთა აზრით, ქვეყანაში მოინახება მატერიალურად მზად მყოფი საწარმოები.

გამოიკვეთა, რომ მრეწველთა უკმაყოფილებას იწვევს რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ აღებული გეზი ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებასთან დაკავშირებით. მათი აზრით, პროცესი აბსოლუტურად ამორფულად და მოუწესრიგებლად მიმდინარეობს. ექსპერტები არ ინტერესდებიან, თუ რა პრობლემებს უქმნის სხვადასხვა სფეროთა მესვეურებს რეფორმატორთა პოლიტიკა. კუპონის კურსის გამყარების რაუნდებმა თითქმის გააორმაგა ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრული ვალები. ამას ემატება ბრუნვაში კუპონის მასის საგრძნობი შემცირება. საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები თვეების განმავლობაში ვერ იღებენ ხელფასს. მრეწველები მინისტრებს სთხოვენ გამოსავლის მონახვას, მინისტრები კი პასუხობენ, რომ სხვაგვარად არ გამოვა და მეწარმეთა დამოკიდებულება საკითხისადმი მოუმზადებლობასა და ეკონომიკის საფუძვლების არცოდნაზე მეტყველებს. წარმოების ხელმძღვანელები ითხოვენ, რომ გადაისინჯოს ფასები ენერგომატარებლებზე, ისინი ეროვნული ვალუტით განისაზღვრებოდა და კუპონის კურსის გამყარების შედეგად საერთაშორისო ფასებს უსწრებს.

შეკრებაზე გამოითქვა პრეტენზია ქვეყნის რკინიგზის დეპარტამენტის მოუწესრიგებელი მუშაობის მიმართ. აღნიშნული სტრუქტურა გასულ წელს ვერ უზრუნველყოფდა ტვირთების დროულად გადაზიდვას და მათ უსაფრთხოდ ჩატანას დანიშნულების ადგილამდე. გაგზავნილი საქონლის რეგულარული დაგვიანება შეუძლებელს ხდის პარტნიორს ესაუბრო წინასწარი ანგარიშსწორების ფორმაზე. რუსული რუბლიც საკმაოდ არასტაბილური ვალუტაა და არც მას ენდობიან დსთ-ს ქვეყნებში. მრეწველობის წარმომადგენლები აქაც ჩიხში არიან მოქცეულნი. მათი აზრით, მოსაწესრიგებელია სამთავრობო ხელშეკრულებების გაფორმების საკითხი. აღინიშნა, რომ საწყობებში აწყვია მზა პროდუქცია. გასარკვევია, ვის უნდა გავუგზავნოთ, რა გავუგზავნოთ და რამდენი გავუგზავნოთ.

ხშირად იცვლება მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები — ხაზი გაუსვეს მეწარმეებმა. ისინი ამზადებენ ბიზნესგეგმებს, ეძებენ პარტნიორებს, აბანდებენ სახსრებს და როდესაც ყველაფერი ფინიშთან მიდის, გამოდის ახალი დადგენილება. იკრძალება მუშაობის ის მეთოდები, რომლებიც უკვე ხორცშესხმული ბიზნესგეგმის საფუძველს წარმოადგენს. როგორც ჩანს, მსგავსი ბედი არაერთ საწარმოს ეწია და ბევრმა მოითხოვა საკითხის საბოლოოდ მოგვარება.

ბარტერულ გაცვლებზე აქცენტის გაკეთება მრეწველობისთვის დამღუპველია, ითქვა შეხვედრაზე. მუშაობის ეს წესი მხოლოდ ვაჭრებს და ვითომ ბიზნესმენებს აძლევს ხელს. უნდა დაინერგოს ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფორმა და ეს ხდებოდეს პარტნიორებისთვის ხელსაყრელ ვალუტაზე. სხვაგვარად ფაბრიკა-ქარხნები არ ამუშავდება, გაკოტრდება საწარმოები და გამწვავდება უმუშევრობის პრობლემა.

ზემოთ მხოლოდ იმ ძირითად საკითხებზე გავამახვილეთ ყურადღება, რომლებზეც თითქმის ყველა საწარმოს დირექტორმა ისაუბრა. ფურცელს მიღმა უამრავი წვრილმანი პრობლემა დარჩა. ისევ წამოიჭრა უკვე ბევრჯერ

იხილეთ მე—2 გვ.

■ საპრეზიდენტო არჩევნები საფრანგეთში

■ ქართული დიასპორის პრობლემები

■ პროექტები, პროექტები, პროექტები...

**დაახლოებით ერთი წელიწადია, რაც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მუშაობას შეუდგნენ საქართველოს დიპლომატიური მისიები. რას საქმიანობენ ჩვენი საელჩოები? როგორია მათი მატერიალური მდგომარეობა? — ეს და სხვა კითხვები ფართო საზოგადოების ინტერესს იწვევს. ჩვენს გაზეთში უკვე შემოგთავაზეთ ინტერვიუ გერმანიაში საქართველოს საელჩოს ხელმძღვანელთან. ამჯერად გთავაზობთ საუბარს საფრანგეთში საქართველოს სრულუფლებიან ელჩთან ბატონ გოჩა ჩოგოვაძესთან.**

## ოპტიმისტები უნდა ვიყოთ

**— ბატონო გოჩა, ჩვენს ქვეყანაში შექმნილ რთულ ეკონომიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული საფრანგეთში საელჩოს დაფუძნება. ორიოდე სიტყვით გვიამბეთ, როდის დაფუძნდა საელჩო და რა პრობლემებთან იყო ეს დაკავშირებული?**

— დავიწყებ იმით, რომ საფრანგეთში შარშან თებერვალში ჩავედი. არსებული წესის თანახმად, ვიდრე ელჩი რწმუნებათა სიგელებს არ გადასცემს პრეზიდენტს, საელჩოს აქტიური მუშაობის საშუალება არა აქვს. ეს რიტუალი შედგა 23 მარტს და, შეიძლება ითქვას, რომ პირველი აპრილიდან შევუდექით მუშაობას.

კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს არაფერი გააჩნდა, არც საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობიდან ერგო რამე და ამიტომ, ყველაფრის დაწყება „ნოლიდან“ მოგვიხდა. საელჩომ პარიზის ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონში იქირავა ერთი სართული, რაშიც ძალიან დაგვეხმარა პარიზის მერია.

ჩვენი კოლექტივი ოთხი კაცისგან შედგება, თუ არ ჩავთვლით ტექნიკურ პერსონალს. ამიტომ გვიხდება ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის აღება, არა გვაქვს საშუალება, რომ საელჩოში, ტრადიციულად, სხვადასხვა მიმართულების განყოფილებები შევქმნათ. ძნელია დღეს, ჩვენს ქვეყანას დიდი საელჩოს შექმნა მოსთხოვო, ამას ჩვენზე უფრო განვითარებული ქვეყნებიც ვერ ახერხებენ. საელჩოს ყველა თანამშრომელი ფლობს ფრანგულ ენას, რაც აუცილებელ პირობად მიმაჩნია, და ყველა თანამშრომელს აქვს საზღვარგარეთ მუშაობის გარკვეული გამოცდილება. ამიტომ აკლიმატიზაცია საკმაოდ სწრაფად გავიარეთ.

პირადად მე, იუნესკოში მოღვაწეობის პერიოდში წლების განმავლობაში ვცხოვრობდი საფრანგეთში და საკმაოდ ფართო კონტაქტებიც გამაჩნია. ვიცნობ როგორც იუნესკოს, ისე საფრანგეთის ადმინისტრაციას. ამ ფაქტორმა უდავოდ დიდი დახმარება გაგვიწია.

რაც შეეხება პრობლემებს, ალბათ, ისინი კიდევ დიდხანს გვექნება. ძალზე მწირია საელჩოს ეკონომიკური რესურსები, ისიც სათქმელია, რომ საელჩოში ათკაციანი ჯგუფი მაინც უნდა მუშაობდეს, მათ შორის ახალგაზრდებიც, რომლებიც უნდა აღიზარდონ და ჩვენ შეგვცვალონ. მე კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ საფრანგეთში, ისევე როგორც ყველგან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირად კავშირებს, ეს მართლაც უდიდესი სიმდიდრეა, რომელიც ჩვენმა ახალგაზრდებმაც უნდა შეიძინონ.

**— საქართველოში საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს საფრანგეთი სხვა ქვეყნებთან, ვთქვათ, გერმანიასთან, აშშ-სთან შედარებით ერთგვარად გულგრილად ეკიდება ჩვენს პრობლემებს. რამდენად ახლოსაა რეალობასთან ამგვარი შეხედულება?**

— რა თქმა უნდა, გერმანიის და აშშ-ს დახმარებას საფრანგეთისა ვერ შეედრება, მაგრამ ამას სხვა ფესვები გააჩნია. ფრანგები, საერთოდ, ძალიან ძნელად მოდიან კონტაქტზე, თუმცა, როდესაც ეს კონტაქტი მყარდება, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ურთიერთობა საფუძვლიანია.

ფრანგებთან ახლო ურთიერთობის დამყარებას ბევრწილად ჩვენც შევუშალეთ ხელი — პასიურობით, ჩვენი ფრანგული დიასპორის გათიშულობით, არასწორი ინფორმაციით და ა.შ. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რომ ფრანგებთან კონტაქტების დამყარებაში რაიმე პრობლემები გაგვჩენოდა. გავიხსენოთ 1921 წელი, როცა საფრანგეთი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე მიიღო საქართველოს დევნილი მთავრობა; ან როგორ შეიძლება დავუვიწყოთ შარლ დეგოლს და საფრანგეთს ჩვენი საგანძურის დაბრუნება?! სამწუხაროდ, ყველაფერი ეს მერე ველარ განვითარდა.

დღეს საქართველოს საელჩოსთან სერიოზული ბანკირების და ბიზნესმენებისგან შექმნილია ათკაციანი ჯგუფი, რომელიც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე მუშაობენ ჩვენთვის საჭირო პროექტებზე და წამოსვლისას უკვე შექმნილი დოკუმენტების მთელი დასტა გამომატანეს.

ხვალ შევხვდები მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებს, პრემიერმინისტრის მოადგილეებს — ბატონ ზ.კერვალიშვილს და ბატონ ბ.გულუას და ყველა წინადადებას განვიხილავთ.

**— შემდეგი კითხვა სწორედ საფრანგეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივებს შეეხება...**

— საფრანგეთის საქმიანი წრეების დღევანდელი და ათი თვის წინანდელი აქტივობის შედარება შეუძლებელია. გამუდმებით ითხოვენ მიღებას, რომ გამაცნონ წინადადებები ერთობლივი საწარმოების შექმნაზე და სხვა ეკონომიკურ საკითხებზე. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეგვიშალოს, არის ჩვენი შიდაარეულობა და ომი. სხვა პრობლემა არ არსებობს.

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი პარფიუმერული ფირმა დიდად დაინტერესდა ჩვე-

იხილეთ მე—2 გვ.

## ტერორისტული აქტი მოსკოვში

**გუშინ, დილის 10 საათზე მოსკოვში ბინიდან გამოსვლისას დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს საქართველოს მოქალაქეებს, მოსკოვის სამხედრო აკადემიის კურსანტებს, საქართველოს არმიის გენერალს პაატა დათუაშვილსა და გენერალ გიორგი ყარყარაშვილს. დათუაშვილი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო გ.ყარყარაშვილი სკლიფასოვსკის სახელობის კლინიკაში მოათავსეს.**

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტებთან საუბარში გამოთქვა ღრმა მწუხარება მოსკოვში 25 იანვარს მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, რომლის შედეგადაც დაიღუპა საქართველოს არმიის გენერალი პ. დათუაშვილი და მძიმედ დაიჭრა ყოფილი თავდაცვის მინისტრი გენერალი გ. ყარყარაშვილი.

ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ რუსეთისა და მოსკოვის სამართალდამცავი უწყებები, საქართველოს შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, ბოროტმოქმედთა დაკავებისთვის და დანაშაულის გახსნისთვის საჭირო ზომებს მიიღებენ. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ეჭვგარეშეა, სკლიფასოვსკის სახელობის კლინიკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყველა ღონეს იხმარენ გენერალ ყარყარაშვილის გადასარჩენად.

შემთხვევა

## ხანძარს აქრობდნენ — სახლი დაინგრა

გუშინ დილით მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე № 6 სახლის მცხოვრებლებმა ოთახში კვამლი შენიშნეს, რომელიც იატაკიდან ამოდიოდა. როგორც მთაწმინდის რაიონის სახანძრო ბრიგადის წევრებმა აღნიშნეს, ხანძარი იატაკქვეშა გაყვანილობის მოკლე ჩართვამ გამოიწვია. დაზიანებული სადენის მოსაძებნად მეხანძრეები იძულებულნი იყვნენ იატაკი აეყარათ. ოთხი საათის მუშაობის შემდეგ ცეცხლის კერა ჩააქრეს, მაგრამ ოთახი რა სავალალო მდგომარეობაშია, კარგად ხედავთ. გამოვთქვამთ იმედს, რომ აღდგენითი სამუშაოების ჩატარებაში ოჯახს ის პირებიც დაეხმარებიან, ვისაც სადენი ეკუთვნის.

საკუთარი ინფორმაცია



ომი

## ბოლო ცნობები ჩეჩნეთიდან

ჩეჩნეთის ინფორმაციით, დასახლებულ პუნქტებში კვლავ გრძელდება რუსეთის არტილერიისა და ავიაციის „მუშაობა“.

* * *

ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მიმართულებებით კვლავ გრძელდება გააფთრებული ბრძოლები.

* * *

პრეზიდენტის სასახლეზე რუსეთის დროშის აფრიალების შესახებ ინფორმაციას უარყოფს ჩეჩნეთის თავდაცვის კომიტეტის წარმომადგენელი. მისი თქმით, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შენობა მრავალრიცხოვანი დაბომბვების შედეგად ნანგრევებადაა ქცეული.

19 იანვარს საღამოს გროზნოს რადიოთი გამოსვლისას ჩეჩნეთის პრეზიდენტმა დუდაევმა განაცხადა: „ომი და მშვიდობა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში დამოკიდებულია მხოლოდ რუსეთის მთავრობაზე“.

* * *

81-ე მოტომსროლელი პოლკის უგზოუკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა რიცხვი 119-ს შეადგენს. ეს ის პოლკია, რომელმაც განახორციელა იერიში 1 იანვარს.

* * *

19 იანვრისთვის ჩეჩნეთში დაიღუპა 513 რუსი სამხედრო (მათ შორის 95 ოფიცერი), დაიჭრა 394 ოფიცერი.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანმა ჯარებმა დაკარგეს 40 ჯარისკაცი, 145 დაჭრილია.

279 უგზოუკვლოდ დაკარგულია.

სულ დაღუპულია 1943 ადამიანი.

* * *

ჩეჩნეთის არმიის შტაბის ხელმძღვანელობის ცნობით, რუსეთის არმიამ შეცვალა ტაქტიკა. ახლა ისინი საბრძოლო მოქმედებებს მცირერიცხოვანი ჯგუფებითა და ტექნიკის მინიმალური რაოდენობით აწარმოებენ.

* * *

ჩეჩნეთის მოვლენებმა გამოძახილი ჰპოვა ბრატსკში, რაც OMOH-ის დაშლით გამოიხატა — მათ უარი თქვეს, შეესრულებინათ ბრძანება ჩეჩნეთში მათი გაგზავნის შესახებ.

ჩეჩნები ცდილობენ დუდაევის არმია შეავსონ დაქირავებულებით შორეული აღმოსავლეთიდან. ამგვარი მცდელობა სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღმოფხვრილ იქნა ქ.უსურიისკში, რომელიც დღეს კაზაკური მოძრაობის აღორძინების ცენტრს წარმოადგენს.

* * *

ირკუტსკის ოლქში ჯარისკაცთა დედები აპირებენ 28 იანვარს გადაკეტონ ტრანსციმბირული რკინიგზის მაგისტრალი.

* * *

ჯარისკაცთა დედების საპროტესტო მიტინგი მოეწყო თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში „ნახოდკა“.

* * *

ლიბიის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, კადაფი ტელეფონით დაუკავშირდა დუდაევს. დუდაევმა მოუწოდა არაბეთისა და ისლამურ ქვეყნებს, საერთაშორისო თანამეგობრობას, ხელი შეუწყონ მას ჩეჩნეთში სამარი მოქმედებების შეწყვეტასა და საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ რუსეთისგან გამოყოფის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაში.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, რუსეთის საქმეთა ექსპერტმა რიჩარდ პაიპსმა, რომელიც ჩეჩნეთს „დიდი რუსეთის პატარა ნაწილს“ უწოდებს, ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ იგი აკრიტიკებს ელცინს არა იმისთვის, რომ დღითიდღე ამწვავებს კონფლიქტს, არამედ იმისთვის, რომ იგი ვერ აკონტროლებს ვერც საკუთარ აპარატს და ვერც არმიას. მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიიჩნევს, რომ ელცინს ალტერნატივა არა ჰყავს.

* * *

რუსეთის ფედერაციის მთავრობის ხელმძღვანელი ჩერნომირდინი შეხვდა ჩეჩნეთის უხუცესთა საბჭოს. შეხვედრამ ორ საათს გასტანა. მხარეებმა გადაწყვიტეს გამოიყენონ თავიანთი გავლენა და ავტორიტეტი კონფლიქტში ჩათრეულ ყველა ძალაზე. აღინიშნა, რომ დუდაევსა და მის რეჟიმს არა აქვს მომავალი, თუმცა, იგი აქვს ჩეჩენ ერს, რომელმაც უნდა განსაზღვროს კიდეც საკუთარი ბედი.

## კუპონის კურსი კვლავ ძლიერდება

24 იანვარს გამართულ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის მორიგ ვაჭრობაზე ეროვნული კუპონის კურსი უცხოური ვალუტების მიმართ. კვლავ დაფიქსირდა, რომ კუპონის კურსი მტკიცდება. აშშ დოლარის საშუალო ფასი უტოლდებოდა 1 მილ.300 ათას კუპონს, ხოლო რუსული რუბლისა — 281 კუპონს. გაყიდვის მოცულობამ შეადგინა 358 ათასი დოლარი. რაც შეეხება რუბლს, ამჯერად მასზე მოთხოვნა არ ყოფილა.

ვაჭრობის შედეგებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 25 იანვრიდან დააწესა კუპონისადმი უცხოური ვალუტების კურსები. კერძოდ, ერთი ინგლისური გირვანქა სტერლინგის კურსია- 2.026.179,93 კუპონი, გერმანული მარკის — 845.197,23, ფრანგული ფრანკისა — 244.775,09, ათი თურქული ლირისა — 325,26, აზერბაიჯანული მანათისა — 252,9, სომხური დრამისა — 2.543,05 კუპონი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამთარი მძიმე გამოდგა. რით იმართლებს თავს შტაბი?!

პირველი გვერდიდან

განხილული თემები: რატომ უნდა იხდიდნენ მაღალ საბაჟო გადასახადს მეწარმეები იმ პროდუქციის შემოტანაზე, რომლის წარმოებაც რესპუბლიკაში არ ხდება; პრივატიზაციისა და აქციონირების პროცესი სწორად არ მიდის; არსებობს საინფორმაციო ვაკუუმი.

მსხვილი საწარმოები გადავიდნენ საყოფაცხოვრებო ნივთების გამოშვებაზე. იძულებულნი არიან მომსახურე პერსონალს მიზერული ხელფასი მაინც გადაუხადონ და უკეთესი მომავლის მოლოდინში არ შეაჩერონ საწარმოო პროცესი.

შეხვედრის მეორე ნახევარში კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" ხელმძღვანელმა ბატონმა მურმან არჯევანიძემ დააკონკრეტა შესვენებამდე დასმული საკითხები და ყველა საკითხზე პასუხის გაცემა სახელმწიფოს მეთაურს მოსთხოვა. სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა აზრი გამოთქვეს დასმული პრობლემების თაობაზე. გამოიკვეთა მათი შეხედულებების დაპირისპირება მეწარმეთა პოზიციასთან.

რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბატონმა რემი ვაშაკიძემ მიიღო გამომსვლელთა შენიშვნები და ყველას აღუთქვა, რომ მიმდინარე წელს სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. მართალია, ჯერჯერობით დეპარტამენტი ვერ იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას ტვირთების დროულად გადაზიდვაზე, მაგრამ 1995 წლიდან რკინიგზის პოლიცია უზრუნველყოფს ტვირთების დაცვას. დატაცების შემთხვევაში პასუხს მთლიანად აგებს რკინიგზის დეპარტამენტი.

ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა დადებითად შეაფასა ქალაქის საწარმოთა შესაძლებლობები და პოტენციალი. აქვე მან თქვა, რომ თბილისში დაახლოებით 40 საწარმო უნდა დაიხუროს, რადგან მათ მუშაობას აზრი არა აქვს;, დირექტორების 30 გასათავისუფლებელია თანამდებობიდან მათი უუნარობის გამო.

მერია მზად არის გამოყოს ტრილიონი კუპონი საწარმოთა ვალების დასაფარავად, თუ ამ თანხის ხარჯზე დაიქვითება მუნიციპალიტეტის დავალიანება რესპუბლიკის გაზის დეპარტამენიტის მიმართ. ვიცეპრემიერმა ბატონმა ზურაბ კერვალიშვილმა შეხვედრა შეაფასა, როგორც გულახდილ საუბარს მოყოლილი კამათი.

მან აღნიშნა, რომ თურქმენეთიდან უახლოეს მომავალში წამოსაღები 4,5 მილიონი კუბ.მეტრი გაზიდან 1 მილიონი კუბ.მეტრი აზერბაიჯანს უნდა მივცეთო. ამის მიზეზად მან დაასახელა ის ყოფელდღიური დახმარება, რომელიც მეზობელი სახელმწიფოდან მოდის. ვიცეპრემიერმა დამსწრე საზოგადოება დააიმედა, რომ უახლოეს მომავალში 100 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებენ სომხეთიდან. კერვალიშვილმა ისაუბრა იმ წარმოებებზე, რომლებიც სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო არ მუშაობენ. მან მოითხოვა არა მარტო წარმოებების ამუშავება, არამედ პროდუქციის ხარისხის ამაღლებაც.

თურქმენეთთან ურთიერთობა ზ.კერვალიშვილმა საკმაოდ მუქ ფერებში დახატა. მან თქვა, რომ თურქმენეთს არ უნდა არც ჩვენი შამპანიური და არც კონიაკი.

მიუხედავად ამისა, ვიცეპრემიერმა თავისი გამოსვლა ოპტიმისტურად დაამთავრა და იმედი გამოთქვა, რომ მრეწველობა უახლოეს მომავალში ამუშავდება.

ვიცეპრემიერი პრემიერმინისტრმა შეცვალა. მან ზოგადად ისაუბრა არსებულ პრობლემებზე და განაცხადა, რომ თუ მოწესრიგდება ელექტროსისტემა, მთლიანად გადარჩება ჩვენი მრეწველობაცო. ფაცაციას თქმით, ენერგოსისტემის მოწესრიგება 250-300 მილიონი დოლარი დაჯდება.

შეკრების ბოლოს საუბრის შედეგები შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მან გულახდილად აღნიშნა, რომ ბევრ კითხვაზე მეწარმეებმა ამომწურავი პასუხი ვერ მიიღეს, მაგრამ დადებითად შეაფასა თავად შეხვედრის ფაქტი. საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ მეწარმეთა და ბიზნესმენთა აქტივობას არ ნიშნავს, — თქვა მან. აუცილებელია მთელი საზოგადოების კონცენტრირება ეკონომიკური პრობლემების ირგვლივ. ცხოვრების გაგრძელება ჰუმანიტარული დახმარებების ხარჯზე, ვალებისა და კრედიტების ანგარიშით, აღარ შეიძლება. მთლიანად უნდა შეიცვალოს მმართველობის სტრუქტურები. „ვერავის ვაპატიებ იმ ამბავს, რაც თბილსრესში მოხდა... თავს ვერაფრით იმართლებს ის შტაბი, რომელიც ზამთრის გადატანის პრობლემების მოსაწესრიგებლად შეიქმნა... ვიღაცის გათავისუფლებაზე და დასჯაზე არა მაქვს საუბარი. ჭედია წავიდა და მოვიდა გამყრელიძე. მშრომელი, განათლებული ადამიანი, მაგრამ მას ხუთი წელი მაინც დასჭირდება, რომ ჭედიას გამოცდილება მიიღოს", — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა.

ედუარდ შევარდნაძის აზრით, თბილსრესში მომხდარი სამწუხარო ფაქტის მიზეზი ადამიანების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა.

1995 წელი მრეწველობის სფეროში გარდატეხის წელი იქნება, თუ ყველაფერი ზოგადი საუბრებით და დაპირებებით არ დამთავრდება.

ინიციატივა ისევ და ისევ მრეწველების მხრიდან უნდა წამოვიდეს. პრობლემებს არ უნდა გავექცეთ. საქართველოს ეკონომიკა დღეს წარმოდგენილმა საწარმოებმა უნდა გადაარჩინონ.

ბატონმა ედუარდმა გამოსვლის ბოლოს მეწარმეებს პირობა მისცა, რომ შეკრებაზე დასმულ ყველა საკითხს მინისტრთა კაბინეტი უახლოეს ორ კვირაში განიხილავს და გამოიტანს შესაბამის დასკვნებს.

**დავით ნინიკაშვილი**

პრობლემა

# ტროლეიბუსის ხაზი აღდგება. ერის სულიერება — არა!

დღეს ყველამ იცის, რომ საქართველოდან უკონტროლოდ გაედინება ეროვნული სიმდიდრე. გააქვთ ყველა სახის ნედლეული, დიდი ფასეულობის ფერწერული ტილოები, ანტიკვარიატის ნიმუშები. ამბობენ, რომ ამ ფასეულობების გატანისთვის საჭირო ლიცენზიებს იძლევიან სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები; ლიცენზიების კომიტეტიდან დაწყებული, კულტურის სამინისტროთი დამთავრებული.

თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარეობს ანტიკვარიატის სალონი, რომელშიც, ვთქვათ, 700 დოლარად შეგიძლიათ შეიძინოთ დავით კაკაბაძის ნახატი, ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ მე-19 საუკუნის უცნობი და ცნობილი რუსი მხატვრების ნამუშევრები, დასავლეთევროპული სკოლის ფერწერის ნიმუშები, ლადო გუდიაშვილის გრაფიკაში შესრულებული სურათი „ნიკო ფიროსმანიშვილი" და მისი სხვა ტილოები. ეს ნამუშევრები ანტიკვარიატის სალონში თბილისელ მოქალაქეებს მიაქვთ. ფასეულობასთან შელევის მიზეზი კი უკიდურესი მატერიალური გაჭირვებაა.

საზღვარგარეთის რიგ სახელმწიფოებში არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომლის მიხედვითაც მკაცრად არის განსაზღვრული ქვეყნიდან ხელოვნების ფასეულობათა გატანა.

საქართველოში კი არაფერი ამდაგვარი არ არსებობს ან, თუ არსებობს, არავინ არაფრად აგდებს კანონის მოთხოვნებს და გაჭირვების გამო საქართველოდან გროშებად იყიდება ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები. და არა მარტო ფერწერული ტილოები, არამედ ცნობილ ოსტატთა მიერ ოქრო-ვერცხლისგან და ფაიფურისგან დამზადებული უძვირფასესი ნივთები, ანტიკვარული ფასეულობები.

რუსთაველის გამზირზე მდებარე ანტიკვარული სალონის დირექტორის — ოთარ სახოკიას თქმით, მყიდველთა უმრავლესობას უცხოელები შეადგენენ. სალონს კულტურის სამინისტროს შესაბამისი უწყებისგან მიღებული აქვს სერთიფიკატი და ლიცენზია, რაც საშუალებას აძლევს სალონს, ამა თუ იმ ნიმუშის საზღვარგარეთ გატანის უფლება გასცეს.

ანტიკვარიატის სალონს იცავს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოყოფილი დაცვა, რომელსაც თვეში 200 დოლარს უხდიან. სალონის გასავალში ასევე შედის თბილისის მერიისთვის განკუთვნილი 50 დოლარი, რომელსაც ანტიკვარიატის სალონი ყოველთვიურად იხდის.

ამგვარი სალონები თბილისში საკმაოდაა. გაჭირვებული მოქალაქეებიც, ალბათ, „საქონელს" არ აკლებენ. ყველაფერი კანონიერადაა, არავინ არაფერს აშავებს, ქვეყნიდან კი მიედინება ეროვნული სიმდიდრე, რომლის დაბრუნების შანსი პრაქტიკულად არ არსებობს.

იქნებ მათ, ვის კომპეტენციაშიც შედის ეს საკითხები, იფიქრონ რაიმე დამცავ მექანიზმზე, რომელიც ხელოვნების ნიმუშებს მაინც დაიცავს, თორემ სპილენძ-ალუმინ-ჯართშემოლეული ყაჩაღები, საცაა ეროვნულ მუზეუმებს ეკვეთებიან. ტრივიალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ უნდა გავიმეოროთ: ტროლეიბუსის ხაზი აღდგება, ერის სულიერება — არა!

**ირაკლი ტაბლიაშვილი**


## სტომატოლოგებისა და მომავალი სტომატოლოგების საყურადღებოდ!

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სტომატოლოგიაში და სტომატოლოგიურ სამყაროში უახლოეს მომავალში მოსალოდნელი მკაცრი კონკურენცია პრინციპულად მოითხოვს ექიმი-სტომატოლოგის ცოდნის უწყვეტ ამაღლებას და პროფესიულ სრულყოფას.

ფირმა „უნიდენტის" სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი სთავაზობს როგორც გამოცდილ, ასევე დამწყებ და მომავალ სტომატოლოგებს, შეიძინონ და შეინარჩუნონ ცოდნის თანამედროვე დონე, აითვისონ პრაქტიკული ჩვევები ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობისას. ზემოთ აღნიშნულს მრავალფეროვანი თემატიკის გამოყენებით ახორციელებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის წამყვანი პედაგოგები კომფორტული კლინიკური ბაზის, ფანტომების, ვიდეო და სხვა თანამედროვე თვალსაჩინოებათა გამოყენებით. იმედი გვაქვს, ჩვენს სემინარებში თქვენ ადვილად იპოვნით თქვენთვის საინტერესო საკითხებს:

| | |
|---|---|
| 1. თანამედროვე ხაბჭენი მასალები | 15 მეცადინეობა |
| 2. პრაქტიკული ენდოდონტია | 10 მეცადინეობა |
| 3. თერაპიული სტომატოლოგიის წინაკლინიკური კურსი პრაქტიკული ჩვევების ათვისებით | 30 მეცადინეობა |
| 4. ფაიფურით, მეტალოკერამიკით და მეტალოპლასტმასით პროთეზირება | 15 მეცადინეობა |
| 5. შეცდომები, გართულებები და მათი პროფილაქტიკა ორთოპედიულ სტომატოლოგიაში | 10 მეცადინეობა |
| და სხვა. | |

გარდა ჩამოთვლილი თემებისა ფირმა „უნიდენტის" სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი დაინტერესებულ პირთათვის უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებას მათთვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

ჯგუფებში მსმენელთა რაოდენობა შეზღუდულია. ჯგუფები კომპლექტდება წინასწარი ჩაწერით. სწავლება ფასიანია.

ჩვენთან თანამშრომლობა თქვენი პროფესიული და მატერიალური წარმატების საწინდარია.

„უნიდენტი" გადაგიჭრით ყველა პრობლემას სტომატოლოგიაში.

მოგვმართეთ ყოველდღე, გარდა კვირისა. სასურველია სამშაბათს და პარასკევს 10 სთ-დან 11 სთ-მდე.

ჩვენი მისამართია: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა ფირმა „უნიდენტის" სასწავლო-პრაქტიკული ცენტრი.
380002, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 126. ტელ: 96-71-26.


დიპლომატია

# ოპტიმისტები უნდა ვიყოთ

პირველი გვერდიდან

ნთან თანამშრომლობით, მაგრამ, ჩეჩნეთში ომის დაწყების შემდეგ გვთხოვეს, ორი-სამი თვით გადაგვედო მოლაპარაკებზ. რატომ? იმიტომ, რომ მათთვის კავკასია ერთიანი ცნებაა. მე შევეცადე ამეხსნა მათთვის, რომ ცდებოდნენ და ასეთი მაგალითი მოვუყვანე: საბერძნეთში რომ იწყებდეთ საქმეს, განა შეგაფერხებდათ იუგოსლავიის კონფლიქტი-მეთქი? ასევეა ჩეჩნეთიც, იგი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაა და ამ ომს საქართველოსთან საერთო არაფერი აქვს.

ბათუმში და ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების გამოცხადება დიდი მომზიდველი ფაქტორი იქნება და ამას უკვე ვგრძნობთ. დამუშავდა პროექტები კადასტრის, ტელეკომუნიკაციების, საზღვაო გადაზიდვების შესახებ და იმედი მაქვს, რომ მათი განხორციელება ძალიან მალე დაიწყება.

**— ეკონომიკური კონტაქტებისგან განსხვავებით, საკმაოდ დიდი ტრადიცია არსებობს საქართველო-საფრანგეთის კულტურულ ურთიერთობებში. გარდა ამისა, თქვენ ერთდროულად საქართველოს წარმომადგენელიც ბრძანდებით იუნესკოში. ბატონო გოჩა, რამდენად ინტენსიურია დღეს კულტურულ-სამეცნიერო კონტაქტები, საერთოდ, ცივილიზებულ სამყაროსთან და კონკრეტულად, საფრანგეთთან?**

— უნდა გითხრათ, რომ იუნესკოსთან ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებს ამ ორგანიზაციის გენერალური დირექტორის — მაიორის ღრმა პატივისცემა ბატონი ედუარდის მიმართ. ჩვენს ნებისმიერ თხოვნას ან წინადადებას ყოველთვის დადებითი გადაწყვეტილება მოსდევს ხოლმე. ერთ წელიწადში თხუთმეტამდე სხვადასხვა პროექტი ავამუშავეთ იუნესკოში. შედარებისთვის გეტყვით, რომ არსებობენ ძალიან დიდი ქვეყნები, რომლებსაც ორიოდე პროექტი თუ აქვთ განხორციელებული. ცოტა ხნის წინ იუნესკომ ქართული ხუროთმოძღვრების ორი ძეგლი შეიტანა თავის სიაში, რაც ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. ახლა მესამე ძეგლზე — სვანეთზე ვმუშაობთ და გაისად ეს საკითხიც, ალბათ, დადებითად გადაწყდება.

ჩემი აზრით, რაც შეიძლება მეტი ქართველი ახალგაზრდა უნდა სწავლობდეს საზღვარგარეთ — ეს თაობა გადაარჩენს საქართველოს და ააყვავებს მას. ამ საქმეში იუნესკოს დახმარებაც ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. მწვავედ დადგა ფრანგული ენის ცოდნის პრობლემა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური დომინირებს და ფრანგულმა საერთოდ დაკარგა პოზიციები. ეს არ არის სწორი, რადგან მსოფლიოში ბევრი ფრანგულენოვანი ქვეყანაა, 50-ზე მეტი სახელმწიფო შედის ფრანკოფონიურ გაერთიანებაში.

დღეს ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს ვესაუბრე უდიდეს პროექტზე, რომელიც საფრანგეთში ქართული კულტურის ფართომასშტაბიან გატანას ითვალისწინებს. თავის დროზე ეს წინადადება დავაყენე სახელმწიფოს მეთაურის წინაშე. იგი დამეთანხმა და ვვარაუდობთ, რომ 1996 წელი ევროპაში ქართული კულტურის გასვლის წელიწადად იქცევა. წინასწარ იგეგმება ძალზე მასშტაბური ღონისძიებები, რომელთა მომზადებას წელიწადნახევარი მაინც დასჭირდება.

აქვე მინდა გიამბოთ შარშან საქართველოს სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის გასტროლების შესახებ. ეს ნამდვილი მოვლენა იყო. როდესაც კონცერტი დამთავრდა, ერთ-ერთმა ცნობილმა სენატორმა მითხრა: ბედნიერები ხართ, რომ ეს შეინარჩუნეთ, ჩვენ ხომ დავკარგეთ ჩვენი ეროვნული ხელოვნებაო.

მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრის" გამოცემა ფრანგულ ენაზე. ამ ნაწარმოებს უდიდესი აღიარება ხვდა წილად, ჩვენს მწერალს ადარებდნენ ისეთ დიდ სახელებს, როგორიცაა, მაგალითად, კაფკა.

საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი სიმფონიური ორკესტრის კონცერტებმა ბატონ ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით. იცით, ფოლკლორსა და ტრადიციულ ხელოვნებას თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ კლასიკური მუსიკით ქართველი ხელოვანების მაღალ დონეზე წარმოჩენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა.

**— ერთ წელი გავიდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ. რა იმპულსები წარმოშვა ამ ვიზიტმა და რა შეიცვალა მას შემდეგ?**

— უპირველეს ყოვლისა, იმას მინდა გავუსვა ხაზი, რომ საფრანგეთთან დადებულმა უდიდესმა ხელშეკრულებამ ხელფეხი გაგვიხსნა. ევროპელები და, განსაკუთრებით, ფრანგები უდიდეს ყურადღებას აქცევენ ურთიერთობების იურიდიულსამართლებრივ ბაზას. ხელშეკრულებამ სწორედ ასეთი ბაზა შექმნა: გარდა ამისა, ბატონ ედუარდის ყოველი შეხვედრა მისი პიროვნების და საქართველოს მიმართ უდიდესი პატივისცემის დემონსტრირებას წარმოადგენდა. ახლა, როცა საელჩოს წარმომადგენლებს გვიწევს იგივე პირებთან ურთიერთობა, ბევრად უფრო გაადვილებულია ჩვენი მუშაობა. სწორედ ვიზის შემდეგ წამოვიდა უამრავი წინადადება.

საილუსტრაციოდ გეტყვით, რომ დასავლეთში თითქმის ყველაფრის ბარომეტრია ბიზნესმენთა დამოკიდებულება ამა თუ იმ ქვეყნისადმი. და აი, ფრანგი ბიზნესმენების თვალსაზრისით, საქართველოში უკეთესი მდგომარეობა შეიქმნა. ეს მათი აზრით, თორემ ჩემთვის, ვიდრე აფხაზეთს არ დავიბრუნებთ, კარგ მდგომარეობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ფრანგი ბიზნესმენები უკვე მიიჩნევენ, რომ საქართველოში შეიძლება კაპიტალის დაბანდება, ინვესტირება. ბატონ ედუარდის ვიზიტის შემდეგ მივიღე საფრანგეთის პრემიერმინისტრის ბატონ ბალადიურის წერილი, სადაც გვატყობინებს, რომ სახელმწიფო-სადაზღვევო ფირმა „კოფასი" დააზღვევს იმ ფრანგ მეწარმეებს, რომლებიც საქართველოში შემოიტანენ კაპიტალს. მიმაჩნია, რომ ეს უდიდესი მიღწევაა.

**— ამა წლის მაისში საფრანგეთში გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები. თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით დაახასიათეთ წინასაარჩევნო პოლიტიკური სიტუაცია და პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებაც გვიამბეთ.**

— მემარჯვენეთა ბლოკი ახლა ორადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი მხარს უჭერს პრემიერმინისტრს — ბალადიურს, მეორე — პარიზის მერს ჟაკ შირაკს. ცენტრისტების ნაწილი, ალბათ, ბარის დაუჭერდა მხარს, ნაწილი, მემარცხენეებთან ერთად — ჟაკ დელორს, რომელსაც დეკემბრის ზონდაჟით უპირატესობა ჰქონდა. მაგრამ დელორმა უკანასკნელ მომენტში უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. მან უარის მიზეზად ასაკი (იგი 69 წლისაა) დაასახელა, მაგრამ უფრო რეალურ ვერსიად მიიჩნევენ იმას, რომ დელორმა გზა დაუთმო თავის ქალიშვილს — მარტინ ობრინს, რომელიც სოციალისტებში დიდ ძალად ითვლება და 2002 წელს პრეზიდენტობის № 1 კანდიდატად მიიჩნევენ. თავისი გადაწყვეტილებით ჟაკ დელორმა საკმაოდ დიდი პოლიტიკური კაპიტალი დაუგროვა ქალიშვილს.

**— თავად მიტერანი?**

— ფრანსუა მიტერანი მძიმედაა ავად — მას კიბო აქვს. ისიც კი ჩქვის ქვეშ იდგა, მიაღწევდა თუ არა პრეზიდენტი მომავალ არჩევნებამდე, მაგრამ იგი საჯაროდ გამოვიდა და თქვა, რომ რჩება არჩევნებამდე და, რა თქმა უნდა, მონაწილეობას არ მიიღებს ახალ არჩევნებში. ამიტომ სოციალისტებში, და საერთოდ, მემარცხენეებში დიდი განხეთქილებაა — მათ არ ჰყავთ ერთი ლიდერი. კულტურის ყოფილმა მინისტრმა ჟაკ ლანგმა, ჟორჟ პერმა და სხვებმა მზადყოფნა გამოთქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე, მაგრამ რამდენად ძლიერია მათი კანდიდატურები, ვერ გეტყვით.

არსებობს პროგნოზი, რომ პირველ ტურში ხმების 50 პროცენტზე მეტს ვერავინ მიიღებს. ამიტომ, საფრანგეთის კანონების თანახმად, მეორე ტურში გავა ის ორი კანდიდატი, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს. პროგნოზების თანახმად, ყველას უგებს ბალადიური, მეორე კანდიდატი, ალბათ, სოციალისტი იქნება, რადგან დღევანდელ საფრანგეთში ეს ძალიან ძლიერი პარტიაა. თუმცა, ძალიან დიდი შანსები აქვს შირაკს. თუ ეს უკანასკნელი ვარიანტი განხორციელდა, მაშინ, საფრანგეთის ისტორიაში პირველად, პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი მემარჯვენე იქნება. რაც შეეხება დღევანდელ საერთოპოლიტიკურ პროგნოზს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არჩევნებში მემარჯვენეებმა უნდა გაიმარჯვონ.

**— და ბოლოს, ბატონო გოჩა, ალბათ, მკითხველი ყველაზე მეტად ელის ცნობებს ჩვენი ფრანგული დიასპორის ცხოვრების შესახებ...**

— თვის ყოველ ბოლო შაბათს საელჩოში იმართება ჩვენი დიასპორის წარმომადგენელთა შეხვედრები, ხან ჩაიზე ვპატიჟებთ, ხან — ყავაზე. ისედაც, საელჩოს კარი ყოველთვის ღიაა. ვსაუბრობთ ყველა თემაზე, გაჩნდა რამოდენიმე კარგი წამოწყება. ახალ წელს ყველა ქართველის შვილი ან შვილიშვილი შევკრიბეთ საელჩოში, ბავშვებმა ერთმანეთი გაიცნეს. იქაურ ქართველებს, ორმოცამდე კაცს, შევთავაზე პატარ-პატარა ჯგუფების შექმნა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებენ საქართველოს სასარგებლოდ. შეიქმნა ჰუმანიტარული დახმარების, კულტურის და სხვა ჯგუფები.

ახლახანს ჩვენმა დიასპორამ აირჩია ახალი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ცხრა კაცისგან შედგება. ყველა მათგანი სტუმრად იყო საელჩოში და გამოთქვეს მზადყოფნა, ითანამშრომლონ საქართველოს ხელისუფლებასთან. ჩვენ იმდენად ცოტანი ვართ, რომ უფლება არა გვაქვს, ერთად არ ვიყოთ. ნებისმიერმა უნდა გამოხატოს თავისი შეხედულება — აზრთა სხვადასხვაობა ქვეყნის სიმდიდრეა, მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა სცილდებოდეს გარკვეულ ნორმებს და არ უნდა გადაიზარდოს მორალურ ან ფიზიკურ შეურაცხყოფაში, შეგნებულად არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში და ა.შ.

როდესაც სახელმწიფოს ასე უჭირს, როცა უამრავი პრობლემაა დაგროვილი და ვიღაცა დივერსიას აწყობს — ეს არ უნდა გახარებდეს. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ქვეყნის ღალატი. დღეს მთავარია ჩვენი გენოფონდის გადარჩენა, ახალგაზრდობის განათლება, კულტურისთვის ხელშეწყობა. დღეს ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ ქვეყნის გადარჩენისთვის.

**— მე შეკითხვები ამოვწურე, თქვენ ხომ არ დაამატებდით რამეს?**

— ოპტიმისტები უნდა ვიყოთ. შეუძლებელია სამიათასწლიანი ისტორიის მქონე ერის გადაშენება, გაქრობა. თავად უნდა შევქმნათ ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი. მერწმუნეთ, რომ ამის წინაპირობები არსებობს.

ესაუბრა **პაატა ვეშაპიძე**




ქრონიკა

## საზოგადოება „არჩევნების" დამფუძნებელი კრება გორში

გუშინ გორში შედგა საზოგადოება „არჩევნების" შიდა ქართლის რეგიონების ადგილობრივ ორგანიზაციათა დამფუძნებელი კრება. მოსახლეობამ დიდი ინტერესი გამოამჟღავნა ამ ღონისძიების მიმართ. გორის კულტურის სახლში თავი მოიყარეს ქართლის 11 რაიონის წარმომადგენლებმა. დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობდნენ საზოგადოება „არჩევნების" გამგეობის წევრები: ჯ.იოსელიანი, ლ.გიორგაძე, ვ.რურუა, დ.მაღრაძე, თ.ბერიშვილი და სხვები. გამომსვლელებმა ისაუბრეს საზოგადოების წესდებაზე, მემორანდუმზე, საქართველოს კონსტიტუციაზე. ბატონმა ჯაბა იოსელიანმა უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებზე. შეხვედრამ უაღრესად გულითად ვითარებაში ჩაიარა.

**საზოგადოება „არჩევნების" საინფორმაციო სამსახური**

კავკასიონი
ხუთშაბათი, 26 იანვარი, 199

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცენტრალური აზია გზების ძიებაში

გასულ კვირას მოსკოვში შედგა მოლაპარაკება რუსეთის პრეზიდენტ ბ.ელცინსა და ყაზახეთის პრეზიდენტ ნ.ნაზარბაევს შორის. ხელმოწერილი იქნა 17-ზე მეტი ხელშეკრულება, რომელთა შორის მთავარი იყო ეკონომიკურ ხელშეკრულებათა პაკეტი, მაგრამ, ორი პრეზიდენტის ამ შეხვედრას პასუხი უნდა გაეცა იმ კითხვაზეც, თუ რამდენადაა შესაძლებელი ევრაზიული სახელმწიფოს შექმნა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომლის იდეასაც ასე ენერგიულად აყენებს ყაზახეთის პრეზიდენტი და რომლის გაგონებაც არ სურს უზბეკეთის პრეზიდენტს და დსთ-ს ზოგიერთ სხვა ლიდერს. თუმცა, ამ თანამეგობრობის შიგნით, განსაკუთრებით, ცენტრალური აზიის რეგიონში ერთგვარი ინტეგრაციული პროცესებიც შეინიშნება. საერთაშორისო ასპარეზზე გაიზარდა ინტერესი ცენტრალური აზიის რესპუბლიკების მიმართ. ბოლო წლებში იგი მოინახულეს აშშ სახელმწიფო მდივანმა, ჩინეთის პრემიერმა, საფრანგეთისა და თურქეთის პრეზიდენტებმა და ა.შ. თუ ჩინეთის პრემიერი და თურქეთის პრეზიდენტი რეკლამას უკეთებდნენ განვითარების საკუთარ გამოცდილებას, არიგებდნენ კრედიტებს და დახმარებას აღუთქვამდნენ მრეწველობის განვითარებაში, ევროპა-ამერიკის ლიდერების ვიზიტები გამომდინარეობდა უბრალო სურვილიდან, რომ ამ ახლადშექმნილმა სუვერენულმა სახელმწიფოებმა დროულად და უმტკივნეულოდ დაიმკვიდრონ საკუთარი ადგილი მსოფლიო სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. ამასთან დაკავშირებით ცოტა უცნაურად გამოიყურება მოსკოვში ზოგიერთი პოლიტიკოსის ნერვიულობა იმის თაობაზე, თითქოს ვინმეს სურს ცენტრალური აზიის ქვეყნების მოწყვეტა რუსეთის გავლენის სფეროდან. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ ცენტრალურ აზიაში ჩამოყალიბდა, მართალია სუსტი, მაგრამ ხუთი სუვერენული სახელმწიფო, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების უფლება. ცენტრალური აზიის ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ისედაც გრძნობენ თავის უსუსურობასა და უძლურებას, მით უმეტეს, როცა მათ ვიღაც თითის ქნევით ელაპარაკება და აშკარად უხსნის, რომ მათი ბედი დამოკიდებულია გადაწყვეტილებებზე, რომელსაც მათი საზღვრებიდან საკმაო დაშორებით იღებენ. არადა, მათ სურთ, იგრძნონ დამოუკიდებლობა, საკუთარი ღირსების მნიშვნელობა, რომ ისინიც რაღაცას წარმოადგენენ და რომ მათაც შეუძლიათ ვიღაცაზე რაღაც გავლენის მოხდენა. აქედან გამომდინარეობს სწორედ ჰკვიანი პოლიტიკოსის ნ.ნაზარბაევის გულუბრყვილო სიამაყე, რომ ყაზახეთის დიპლომატიამ გააკეთა ის, რაც საბჭოთა დიპლომატიამ ვერ შეძლო — გადაჭრა ყველა სადავო სასაზღვრო საკითხი ჩინეთთან, რომელთანაც საერთო საზღვარი 1700 კმ-ზეა გადაჭიმული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური აზიის რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა სრულიად მოულოდნელად მიიღეს. თუ ბალტიისპირეთის ქვეყნები სუვერენიტეტისთვის საერთაშორისო სამართლის დონეზე იბრძოდნენ, თუ ამიერკავკასიის ხალხებს ერთმანეთთან ომი (აზერბაიჯანი, სომხეთი) და აგრესიული სეპარატიზმის წინააღმდეგ ომი (საქართველო) დასჭირდათ, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებს ცენტრზე მაქსიმალური დამოკიდებულების შენარჩუნება სურდათ. 80-იანი წლების მიწურულს ისინი სსრკ-ს ყველაზე თავგამოდებით იცავდნენ და 1991 წ. აგვისტოს პუტჩამდე მზად იყვნენ, ხელი მოეწერათ ნოვო-ოგარევის ხელშეკრულებისთვის. 1991 წ. დეკემბერში კი ხელი მოაწერეს დსთ-ს ხელშეკრულებას, თუმცა, ბელოვეჟის ტევრში შეხვედრაზე ისინი არავის მიუწვევია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ შეიცვალა აქაური მმართველი ელიტის პოზიციაში. თუ თურქმენეთი თავს არიდებს ნებისმიერ უბრალო ინტეგრაციასაც კი, ყაზახეთს



სურს რუსეთთან ეკონომიკური ინტეგრაცია. პოლიტიკური დისტანციის დაცვა სურთ უზბეკეთსა და ყირგიზეთს, ხოლო რაც შეეხება ტაჯიკეთს — მისი მომავალი, ალბათ, ბრძოლის ველზე განისაზღვრება. ამ ორი-სამი წლის წინ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებმა დაიწყეს იმაზე ფიქრი, რომ არ შეიძლება, მოსკოვსა და ცენტრალურ აზიას ერთი და იგივე ინტერესები ჰქონოდათ. ამიტომაც ცენტრალურ აზიაში ძლიერ დაინტერესდნენ საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალით პეკინსა და სტამბულს შორის, რომელიც ხელს შეუწყობდა ცენტრალური აზიის მაგისტრალების მოდერნიზაციას და მოუხსნიდა ამ რეგიონს ციმბირის მაგისტრალებზე დამოკიდებულებას. ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს, განსაკუთრებით უზბეკეთს, ძალიან უნდოდათ, რომ ჰქონოდათ გასასვლელი ინდოეთის ოკეანეში თუ არა, შორეული აღმოსავლეთის ზღვებში მაინც. მაგრამ... მაგრამ, ჯერჯერობით ყველაფერი განსაზღვრა ცენტრალური აზიის გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ და რუსეთის სიახლოვემ.

გეოპოლიტიკურად ცენტრალური აზიის რეგიონის ყველა ქვეყანა უაღრესად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან არ გააჩნიათ ზღვებზე გასასვლელი. რეგიონი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ კონტინენტურ მასივს, რომელიც დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნების კეთილ ნებაზე სავაჭრო გზებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნების კეთილდღეობა უახლოეს ისტორიულ პერსპექტივაში, თუ სცენარი მათ სასიკეთოდ წარიმართა, ისევე, როგორც „აბრეშუმის დიდი გზის“ არსებობის დროს, დამოკიდებული იქნება მეზობელი ქვეყნების და, პირველ რიგში, რუსეთის სტაბილურობაზე.

გეოსტრატეგიულად რეგიონი განეკუთვნება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მეორეხარისხოვანი ინტერესების სფეროს, რადგან აქ ჯერ არაა ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციები. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი პოტენციურად მდიდარია წიაღისეულით, მას არ შეუძლია მსოფლიო ბაზარზე არსებულ სიტუაციაზე ზეგავლენის მოხდენა ისევე, როგორც მაგალითად, სპარსეთის ყურის ქვეყნების ნავთობს, ან ფერად ლითონებს სამხრეთ აფრიკიდან.

ცენტრალური აზიის ქვეყნების სამხედრო პოტენციალი უახლოეს მომავალში არ შეიძლება საშიში იყოს მეზობელი ქვეყნებისთვის. ამიტომაც დაახლოებით ორი თაობის ცხოვრების მანძილზე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის, ან თუნდაც რეგიონის ქვეყნებისთვის, აქ უნდა გამოირიცხოს სამხედრო ინტერესები, გამალებული შეიარაღება და პრევენტული ომი. ამიტომაა, რომ წამყვანი ქვეყნები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი აქ აღმოცენებული სამხედრო კონფლიქტებით (შეადარეთ მსოფლიოს გამოხმაურება ჩეჩნეთის და ტაჯიკეთის მოვლენებზე).

ეკონომიკურად რეგიონი განწირულია, დარჩეს მსოფლიო მეურნეობის პერიფერიად, რადგან მოშლილი სამრეწველო ინფრასტრუქტურების გამო, რომელიც საბჭოთა კომპლექსზე იყო მორგებული, არაა მზად თანამედროვე წარმოებისთვის. ეს ქვეყნები დარჩნენ მსოფლიო სახალხო მეურნეობის გარე ზონად, რომელშიც მოქმედებს სახელმწიფო და არა შერეული ეკონომიკა, სადაც არაა შექმნილი კონკურენტუნარიანი გარემო. ასეთ პირობებში რუსეთსა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ნელა, მაგრამ მაინც გრძელდება „ცენტრი-პერიფერია“ პარამეტრული მოდელის მიხედვით. ეს კავშირები რომ გაწყდეს, ამან შეიძლება, ცენტრალური აზიის რესპუბლიკების სამეურნეო ნგრევაც კი გამოიწვიოს, რადგან ცენტრსა და პერიფერიას შორის გაწყდება კავშირი ისეთ ტიპიურ სფეროში, როგორიცაა ნედლეულის გაცვლა მზა საქონელზე. ეს სისტემა ჯერჯერობით ძალაში რჩება იმ აუცილებლობის გამო, რომ ნედლეულის 2-3 სახეობის გარდა, ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა მათი საქონლის არაკონკურენტუნარიანობის გამო. თუ ისინი მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ ნედლეულის გატანაზე გადავლენ, ვერც ეს უშველით, რადგან ვერ მიიღებენ საქონლის იმ ასორტიმენტს, რომელიც დსთ-ს ჩარჩოებში იწარმოება და აუცილებელია მათი ეროვნული წარმოების ფუნქციონირებისთვის. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო კავშირების მონოპოლიზაცია და მაღალი ცენტრალიზაცია აიძულებს ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა. რესპუბლიკებს, იცხოვრონ ურთიერთშევსების პრინციპით.

კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე ცენტრალური აზიის ქვეყნები (ისევე როგორც დსთ-ს სხვა ქვეყნებიც) გამოდიან როგორც კონკურენტები, თანაც მათი მდგომარეობა გამოუცდელობის გამო გაცილებით უფრო უარესია, ვიდრე სხვა დანარჩენი მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნებისა. ამიტომაც ისევ შეჩვეულ რუსეთს მიმართავენ.

პოლიტიკური სტაბილიზაცია ამ რესპუბლიკებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ისევე როგორც მნიშვნელოვანია რუსეთთან ურთიერთობისთვისაც. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ მაგალითად, ტაჯიკეთის მოვლენებმა გამოიწვია მისი მეზობლების დიდი აქტივიზაცია როგორც დსთ-ს ხაზით, ისე მის ფარგლებს გარეთაც, თანაც, იმის გამო, რომ რუსეთმა თავის დროზე ხელიდან გაუშვა კონფლიქტის დარეგულირების მომენტი, მან რეგიონალური ხასიათი მიიღო, რადგან ტაჯიკეთის ამბებში ავღანეთი ჩაერია.

გეოგრაფიული სიშორე, ფეთქებადსაშიში მდგომარეობა ზოგიერთ სახელმწიფოში (ყაზახეთი, უზბეკეთი), მაღალი მოგების მიღების შეუძლებლობა აიძულებს უცხოურ კაპიტალს თავი შეიკავოს ინვესტიციებისგან. ეს კი ზრდის არასტაბილურობას, რადგან არაა წარმოების ზრდა. უმუშევრობა ხდება მასობრივად საშიში ცენტრალური აზიისთვის, სადაც ახალგაზრდობაში უმუშევარი ტრადიციულად პროცენტულად ყოველთვის დიდი იყო. თანაც, შობადობის მაღალი ტემპები, რომელიც აქ შენარჩუნებული იქნა, იძლევა იმაზე ლაპარაკის საშუალებას, რომ აქ შეიძლება მოხდეს მძლავრი სოციალური აფეთქება. აი, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ყაზახეთმაც და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებმა მზერა კვლავ რუსეთისკენ მიმართეს.

**ბივი ბოლოთაშვილი**

პრესმერიდიანი

# რუსეთის პრესა ჩეჩნეთის კრიზისზე

## «კომერსანტ დეილი»

„დღეს არავითარი ეჭვი აღარ არსებობს, რომ კრემლი კვლავ განუხრელად იმოქმედებს გასული წლის 26 დეკემბერს უშიშროების საბჭოს მიერ დამტკიცებული ალგორითმის მიხედვით, რაც დუდაევის რეჟიმის განადგურებას, ჰაჯიევის დროებითი მთავრობის მხარდაჭერას, ჩეჩნეთის რაიმე წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნასა და შემდეგ მასთან ფედერალური მთავრობის სახელით მოლაპარაკებების წარმოებას ითვალისწინებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩეჩნეთის კრიზისი დიდხანს გაიჭიმება და რუსეთს დიდ ენერგიას წაართმევს“.

## «ტრუდი»

„დავუშვათ, რომ რუსეთი ჩეჩნეთს „გაუშვებს“, ბუნებრივია, ამის შემდეგ, რუსეთი შემორკალავს მას საზღვრებით, ააგებს სასაზღვრო და საბაჟო პუნქტებს და დააწესებს სათანადო მკაცრ რეჟიმს. ასეთ პირობებში სუვერენული ჩეჩნეთის რესპუბლიკა, რომელსაც საერთო საზღვრები არ ექნება მოკავშირეებთან, ზღვაზე გასასვლელების გარეშე დარჩენილი, ერთი წელიც ვერ გაალწევს. აქედან გამომდინარე, დუდაევს ორი გამოსავალი დარჩება: „დაუჩოქოს“ რუსეთს და შეეხვეწოს, დააბრუნოს უკან თავის შემადგენლობაში, ან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს უბიძგოს ნაციონალური მოძრაობის გააქტიურებისკენ, ამით გაარღვიოს ბლოკადა და მოიპოვოს გასასვლელები შავ და კასპიის ზღვებზე. ალბათ, ჩეჩნების ლიდერი მეორე გზას აირჩევს“.

## «როსიისკაია გაზეტა»

რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრი ვალენტინ კოვალიოვი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ჩეჩნეთში შეიარაღებულ ძალთა გამოყენების იურიდიული ასპექტი ეჭვს არ იწვევს. დასაბუთებული იურიდიული ეჭვი შეიარაღებული ძალების მეშვეობით ჩეჩნური კვანძის გახსნის შესახებ არ არსებობს და არც შეიძლება, არსებობდეს. პრეზიდენტის და ხელისუფლების ფედერალურ ორგანოთა გადაწყვეტილებას, რომ კონსტიტუციური წესრიგი დამყარდეს ფედერაციის შემადგენელი ერთ-ერთი სუბიექტის საზღვრებში, უცილობელი სამართლებრივი საფუძველი გააჩნია. სახელმწიფოებრივი კონფლიქტი რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის არ არსებობს, რადგან ჩეჩნეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის სუბიექტია. ეს არის არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებათა დაპირისპირება სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებთან. ხოლო არაკანონიერი ფორმირებები, მათი ეროვნული კუთვნილების და მოქმედების ადგილის მიუხედავად, უნდა განიარაღდნენ.

ვალენტინ კოვალიოვმა აღნიშნა, რომ დასტურდება დუდაევის ფორმირებებში დაქირავებულ უცხოელთა არსებობა, მაგრამ არა იმ მასშტაბში, რაც პრესაშია მითითებული. კერძოდ, კოვალიოვი იტყობინება, რომ ცეცხლსასროლი იარაღით და დიდძალი საბრძოლო მასალით დატვირთული მოქალაქეთა ჯგუფი იორდანიიდან.

## «კრასნაია ზვეზდა»

რუსეთის შსს-ს შინაგანი ჯარის სარდლის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა სტანისლავ კავჩუნმა გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ ახლა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში „შინაგანი ჯარების წინაშე უმთავრეს ამოცანად კვლავ რჩება ყველა უკანონო ფორმირების, მათ შორის, ჩვენი ჯარების ზურგში მოქმედი ცალკეული ბოევიკების ჯგუფების განიარაღება. გარდა ამისა, შინაგან ჯარებს ევალებათ ჩეჩნეთში მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ობიექტების დაცვა“.

ჩეჩნეთის სამარი მოქმედებების ხასიათზე საუბრისას გენერალმა აღნიშნა: „ბევრმა ჩვენმა ოფიცერმა არა მარტო ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე გაიარეს „ცხელი წერტილები“, არამედ იბრძოდნენ ავღანეთში. ისინი მიიჩნევენ, რომ სიმძაფრითა და სისასტიკით გროზნოს ბრძოლები აღემატება ყველაფერს, რაც მათ აქამდე უნახავთ.

არტილერიის, ჯავშანტექნიკისა და სხვა სისტემების უკანონო ფორმირებების მიერ ინტენსიური გამოყენება მეტყველებს იმაზე, რომ საქჯოა, თავდაცვის სამინისტროს ჯარების დახმარების გარეშე, შინაგან ჯარებს საკუთარი ძალებით განეიარაღებინათ ბოევიკები და დაქირავებულები.

## «იზვესტია»

გაზეთი „იზვესტია“ აქვეყნებს ჩეჩნეთის ეროვნული აღორძინების მთავრობის თავმჯდომარის სალამბეკ ხაჯიევის გამონათქვამებს, რომელმაც, სახელდობრ, განაცხადა, რომ „დუდაევის ბოევიკები იმავე რაოდენობის იარაღს იღებენ, რამდენსაც რუსეთის ჯარი“. მისი მტკიცებით, დახურული სატვირთო მანქანებით გროზნოდან სამხრეთისკენ მიმავალი გზით ხდება „რუსეთიდან იარაღის“ გადატანა.

## «ნოვაია ეჟედნევნაია გაზეტა»

ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორმა ბორის ნემცოვმა „ნოვაია ეჟედნევნაია გაზეტა“-ს პუბლიკაციაში წამოაყენა წინადადება: ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი ომის დასრულების შემდეგ, ამ რეგიონში დანიშნონ არა ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი მოსკოვიდან, არამედ რუსი გენერალ-გუბერნატორი და გამოაცხადონ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი.

მისი აზრით, ამ შემთხვევაში არ მოხდება ჩეჩნეთის კონფლიქტის ავღანიზაცია და ჩეჩნეთის კლანებს შორის არ იქნება „საქმის დიდი გარჩევები“.

ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორი მიიჩნევს, რომ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის საკითხი შეიძლება დაისვას, მაგრამ დამოუკიდებლობის შანსი ჩეჩნეთს ნამდვილად არა აქვსო.

26 იანვარი ავსტრალიის კავშირის ეროვნული დღესასწაულია

# ზეიმი მწვანე კონტინენტზე

**ავსტრალიის ფართობი: 7,7 მლნ. კვ.კმ.**
**მოსახლეობა: 17,2 მლნ. კაცი.**
**დედაქალაქი — კანბერა: 300 ათასი კაცი**

დღეს, 26 იანვარს 207 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისელმა კაპიტანმა არტურ ფილიპსმა თანმხლებ პირებთან ერთად, დღევანდელი სიდნეის ტერიტორიაზე პირველად დაადგა ფეხი, ააფრიალა „იუნიონ ჯეკი“, შესვა მეფის ჯანმრთელობის სადღეგრძელო და დააარსა სამხრეთ უელსის კოლონია. დაარსდა პირველი კოლონიური დასახლებაც, რომელსაც იმდროინდელი ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრის — სიდნეის გვარი ეწოდა.

ავსტრალიის კავშირი ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელსაც მთელი კონტინენტი უკავია. 1901 წელს აქ არსებული ყველა ინგლისური კოლონია გაერთიანდა ავსტრალიის კავშირის სახელწოდებით, რომელმაც 1931 წლის „უესტმინსტერის სტატუსით“ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში.

დღევანდელი ავსტრალია კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის მონარქი, 1952 წლიდან ელისაბედ II, უინძორების დინასტიიდან. მისი უდიდებულესობა ავსტრალიაში წარმოდგენილია გენერალ-გუბერნატორით, რომელსაც ბუკინჰემის სასახლე ნიშნავს ავსტრალიის მთავრობის წარდგენით. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისგან და რომელთაც სამი წლის ვადით ირჩევენ. აღმასრულებელი ხელისუფლება ფორმალურად ეკუთვნის გენერალ-გუბერნატორს და ე.წ. აღმასრულებელ საბჭოს, ფაქტობრივად, კი ყოველგვარი რეალური ძალა მთავრობის ხელშია, რომელსაც ქვეყნის პრემიერმინისტრი მეთაურობს. ავსტრალია მრავალპარტიული ქვეყანაა, რომელსაც ბოლო ათი წლის მანძილზე ლეიბორისტები მართავენ. ქვეყნის დღევანდელი პრემიერი პოულ ქითინგი რესპუბლიკური მმართველობის მომხრეა. გასული წლის ზაფხულში, როდესაც იგი ბოლმოროლის ციხე-სიმაგრეში ეწვია დედოფალ ელისაბედ II-ს, განუცხადა, რომ მომხრეა კონსტიტუციური ცვლილებებისა, მიუხედავად იმ უდიდესი ავტორიტეტისა და პატივისცემისა, რომელსაც მის უდიდებულესობას მიაგებს ავსტრალიელი ხალხი. მაგრამ ეს საკითხი მარტო პრემიერმინისტრის გადასაწყვეტი არ არის, აუცილებელია რეფერენდუმი, რომელიც ამ პრობლემის გადასაწყვეტად გაიმართება ჩვენი საუკუნის ბოლოს, რა თქმა უნდა, თუ ხელისუფლების სათავეში კვლავ ლეიბორისტები დარჩებიან.

ავსტრალიის მოსახლეობის 75% ბრიტანეთის კუნძულების შთამომავალნი არიან, თუმცა, ბოლო პერიოდში გაიზარდა აზიიდან ჩამოსულთა რიცხვით. ქვეყანა სუპერურბანიზებული სახელმწიფოა, მოსახლეობის 86% ცხოვრობს ქალაქებში.

ავსტრალია მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, რომლის ეკონომიკაშიც მნიშვნელოვანია მოხმარების სფეროსა და გადამამუშავებელი მრეწველობის როლი. სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალპროდუქტიულობით. აღსანიშნავია, რომ ქვეყანა ცხვრის სულადობით პირველია მსოფლიოში. იგი ასევე ხორბლის უდიდესი ექსპორტიორია მსოფლიო ბაზარზე. ტრადიციულად ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებულია ამერიკული და ბრიტანული კაპიტალის პოზიციები, მნიშვნელოვანია ასევე იაპონიის კაპიტალდაბანდებანი.



კონტინენტი ხასიათდება მრავალფეროვანი ლანდშაფტით, რაც უპირველესად განპირობებულია მისი ბუნების თავისებურებით. იგი მდიდარია ისეთი სასარგებლო წიაღისეულით, როგორიცაა: ნახშირი, რკინის მადანი, ნიკელი, ტყვია, თუთია, ოქრო, ალმასი და ა.შ.

... წარმოუდგენელია სიდნეი და მთელი ავსტრალია მსოფლიოში განთქმული ოპერის გარეშე, რომლის არქიტექტორიც არის ცნობილი დანიელი არქიტექტორი უტცონი. იგი გაიხსნა 1973 წლის ოქტომბერში პროკოფიევის ოპერით „ომი და მშვიდობა“.

**ბია ჭანტურია**
პედაგოგი

## რომელ დღეს რა მოხდა

### 26 იანვარი

1795 — გარდაიცვალა იოჰან კრისტოფ ფრიდრიხ ბახი, გერმანელი კომპოზიტორი და კლავესინისტი, იოჰან სებასტიან ბახის ვაჟიშვილი.

1813 — დაიბადა დავით დადიანი, სამეგრელოს მთავარი.

1855 — ქ.პარიზში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა ჟერარ დე ნერვალმა, დიდმა ფრანგმა პოეტმა.

1907 — ახალგაზრდა სანდრო ახმეტელი დაქორწინდა ტასო როსტომაშვილზე, ცნობილი თელაველი პედაგოგის ივანე როსტომაშვილის ქალიშვილზე.

1925 — დაიბადა პოლ ნიუმენი, ცნობილი ამერიკელი მსახიობი.

კავკასიონი
ხუთშაბათი, 26 იანვარი, 1995
სპორტი
№16 (85)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრესკონფერენცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში

გუშინ, 25 იანვარს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ გამართა პრესკონფერენცია, რომლის ძირითადი თემა გახლდათ უეფას ტურნირებში საქართველოს გუნდების რაოდენობის გაზრდა.

ბატონი დავითის თქმით, რამდენიმე ხნის წინ უეფადან მოვიდა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს დაემატა ერთი გუნდი უეფას თასის გათამაშებაში და სავარაუდოა, რომ ეროვნული პირველობის გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა ქართული კლუბი თასების მფლობელთა თასის გათამაშებაშიც დაუშვან.

ალსანიშნავია, რომ უეფას თასის გათამაშებაში არ დაუშვეს ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლიტვის, ბელარუსის, ლუქსემბურგის, მოლდოვის, ესტონეთის, ფარერის კუნძულების, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მაკედონიის გუნდები.

რაც შეეხება ტურნირს, რომელიც გაცილებით მეტ ქართულ კლუბს აძლევს ევროპაში გასვლის საშუალებას: ეს არის საერთაშორისო საფეხბურთო თასის გათამაშება („ტოტო სპორტი"), რომელიც უეფას ეგიდით ჩატარდება. უეფამ მასში შემავალ 47 ფედერაციას 4 გუნდის გამოყვანის უფლება დართო. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ოთხი გუნდი დაიშვება; ყველაფერი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და საფეხბურთო ინფრასტრუქტურაზეა დამოკიდებული. თითოეულ ჯგუფში ხუთი კლუბი იქნება, რომლებიც ტურნირს ერთ წრედ ითამაშებენ — ყველა გუნდი ორ შეხვედრას შინ, ხოლო ორსაც სტუმრად გამართავს. მნიშვნელოვანია, რომ პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები უეფას თასის საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში საასპარეზოდ დაიშვებიან. ამ ტურნირისადმი გარკვეული დამოკიდებულება არსებობს: შესაძლოა, ქვეყნებმა, რომელთაც უეფას ტურნირებზე დიდი რაოდენობით კლუბები გამოჰყავთ, ერთზე მეტი ადგილი არ მოითხოვონ.

აღნიშნული ტურნირი ჩვენთვის იმდენად საინტერესო, რამდენადაც წარმატების შემთხვევაში ქართულ კლუბებს უეფას თასის გათამაშებაში დამატებითი ადგილი მიეცემათ. სასიამოვნოა, რომ ტურნირში მონაწილეობისთვის შესატანი თანხა სულ 200 შვეიცარული ფრანკია, ხოლო თუ შეჯიბრების დროს რომელიმე კლუბმა ასპარეზობის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, ის 100 000 შვეიცარული ფრანკით დაჯარიმდება. და რაც მთავარია, ტურნირში მონაწილე კლუბები საკუთარი სალაროების სოლიდურ შევსებას მიიღებენ: პირველ ადგილზე გასული გუნდი 40000 შვეიცარული ფრანკით დაჯილდოვდება, მეორე — 35000-ით, მესამე — 30000-ით, ხოლო მეოთხე — 25000-ით. გარდა ამისა, ტურნირში მონაწილე თითოეული გუნდი 20000 — შვეიცარული ფრანკით იხეირებს.

გამოდის, რომ ჩვენი კლუბები საერთაშორისო ასპარეზზე გასვლასთან ერთად ფინანსურ სარგებელსაც ნახავენ. როგორც საერთაშორისო შეხვედრებში არის მიღებული, მატჩებს ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენელი მსაჯი უძღვებოდნენ. სიახლე მხოლოდ ისაა, რომ ლაინმენებად ადგილობრივი მსაჯები იქნებიან. ესეც დიდი მნიშვნელობის ფაქტია — გუნდებთან ერთად ევროპაში ჩვენი მსაჯებიც გავლენ.

## კრივი

### წელს

**ზურაბ გუნია (საქართველოს მოკრივეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი):** 1995 წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებებია: დიდებისთვის — მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 4-15 მაისს ქ.ბერლინში გაიმართება, ხოლო ახალგაზრდებისთვის — ევროპის ჩემპიონატი (19-26 ივნისი, ქ.ბალატონი, უნგრეთი).

აღნიშნული შეჯიბრებებისთვის კარგად მოსამზადებლად რაც შეიძლება მეტ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მიღებაა საჭირო. ჩვენი უფროსი ასაკის მოკრივეები უკვე შეუდგნენ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას: იანვრის დასაწყისში ირანში ამხანაგური შეხვედრები ჩავატარეთ, 12-17 იანვარს კი შვედეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა, რომელშიც კობა გოგოლაძემ და გიორგი კანდელაკმა მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს. თებერვალში მიწვეულები ვართ ირანის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც 12 მოკრივის წაყვანას ვაპირებთ, 15-20 მარტს ქ.ჰალეს (გერმანია) საერთაშორისო ტურნირზე 4 მოკრივე გაემგზავრება, ხოლო 5-10 აპრილს სტამბულში ისევ მრავალრიცხოვანი გუნდის (12 სპორტსმენის) გამოყვანას ვგეგმავთ.

ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონატამდე შემდეგ შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას: საქართველოს ჩემპიონატი (12-16 მაისი,ქ.თბილისი), საერთაშორისო ტურნირი (5-9 აპრილი, ქ.ბიდგოში, პოლონეთი); საერთაშორისო ტურნირი (2-8 მაისი, ქ.რომი, იტალია).

რაც შეეხება ატლანტის ოლიმპიურ თამაშებს, მასში კრივის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით ის მოკრივეები გამოვლენ, რომლებიც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატში მეოთხედფინალებში მოხვდებიან.

\+ + +

**ფერზენკ ნავერიანი (სპორტის ზამთრის სახეების ფედერაციის გენერალური მდივანი):** მიმდინარე სეზონში ჩვენი 3 სამთომოთხილამურე: ლევან აბრამიშვილი, ზურაბ ჯიჯიშვილი და დავით ნასყიდაშვილი იღებს მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიო თასების საეტაპო შეჯიბრებებში. ისინი ემზადებიან 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც თებერვლის ბოლოს ესპანეთის ზამთრის სპორტულ ცენტრ სიერა-ნევადაში გაიმართება.

ესაუბრა

გოჩა საითიძე

## მოკლედ

### ნანა ყაზარაშვილის წარმატება

ნიჭიერი წყალში მხტომელი, 15 წლის ნანა ყაზარაშვილი წლის საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის გერმანიის ქალაქ კიოლნში ემზადება. ივლისში ჟენევაში ჩატარდება იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი წყალში ხტომაში, რომელშიც ნანა ყაზარაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. და აი, ახლახანს მივიღეთ ცნობა, რომ ქართველმა სპორტსმენმა გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში მეორე ადგილი დაიკავა.

### მწვრთნელთა ცვლა უკრაინაში

ახალი წლის დასაწყისი უკრაინის ფეხბურთში სერიოზული ცვლილებებით აღინიშნა. შეიცვალნენ წამყვანი საკლუბო გუნდების მწვრთნელები, ეროვნული და ოლიმპიური ნაკრებების ხელმძღვანელები.

კიევის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა იოჟეფ საბომ დატოვა ეს პოსტი, მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მოიმიზეზა, სინამდვილეში კი ყველას ესმის, რომ მისი პოსტიდან წასვლის მთავარი მიზეზი გასული წლის ბოლოს ჩემპიონთა ლიგის ტურნირში დინამოელთა წარუმატებელი გამოსვლა იყო.

კიევის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, სამოცდაათიანი წლების ვოროშილოვგრადის „ზარიას", კიევის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელი ვლადიმერ ონიშჩენკო დაამტკიცეს. კიევის „დინამოს" გუნდის უფროსად დაინიშნა ნიკოლოზ პავლოვი, რომელიც შარშან დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" ავარჯიშებდა.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ანატოლი კონკოვი დანიშნა. ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელად დანიშნულია საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და კიევის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი ვიქტორ კოლოტოვი. მან ამ პოსტზე შეცვალა წარსულში არანაკლებ ცნობილი ფეხბურთელი ვლადიმერ მუნტიანი, რომელიც გვინეის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.

## ფეხბურთი

# მაფია, «ნაპოლი» და მარადონა

ნეაპოლელებს უყვართ მარადონას ეპოქის, ოქროს ხუთი წელიწადის გახსენება (1987-1991 წ.წ.), როცა კლუბი, ვისთვისაც მთელი სამხრეთ იტალია ლოცულობდა, ხუთი წლის განმავლობაში ეროვნულ ჩემპიონატში დომინირებდა. გუნდმა ორჯერ მოიგო „სკუდეტო" (1987 და 1990 წლებში), იტალიის თასი (1987 წ.), უეფას თასი (1988 წ.) და იტალიის სუპერთასი (1991 წ.). ასეთი აღზევება „ნაპოლის" ისტორიას არ ახსოვს, და ნაკლებსავარაუდოა, რომ კიდევ განმეორდეს (თუ მეორე მარადონა არ გამოჩნდა). „ნაპოლის" დაცემა დიეგოს დაჭერამ განაპირობა. როგორც ცნობილია, იგი 1991 წლის 26 აპრილს ნარკოტიკის ხმარებისთვის დააპატიმრეს. იტალიური პრესის აზრით, ეს გუნდი მთლად სუფთა არ იყო, რის დასტურადაც 1988 წელი მოჰყავდა, როცა „ნაპოლი" ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტურით ადრე 4 ქულით უსწრებდა „მილანს" და უპირატესობა, ამასთან ერთად ჩემპიონობაც, უჩვეულო ვითარებაში დაკარგა.



ბოლო დღეებში იტალიაში სენსაციური ამბავი მოხდა: პოლიციამ დააკავა ვინმე პიეტრო პულიეზე, რომელმაც განაცხადა, რომ „ნაპოლის" ფეხბურთელები, კერძოდ, მარადონა, კრიპა, ფრანჩინი და რენიკა ნეაპოლიტანური მაფიის ხშირი სტუმრები იყვნენ. ამ შეხვედრების დროს, რომლებიც საეჭვო შენობებში ტარდებოდა, ისინი ნარკოტიკებს იღებდნენ. პულიეზემ პოლიციას გადასცა სურათი, სადაც კარგად ჩანს, რომ „ნაპოლის" სამი ფეხბურთელი — მარადონა, დე ნაპოლი და ფერარა იღებენ პაკეტს ღამის კლუბ „მაკუმბას" მფლობელ ვინმე ჯაკა ძანაროლისგან. ეს სურათი შვეიცარიის ქალაქ ფრიბურგში 1988 წლის 9 მაისს არის გადაღებული „ფიორენტინა" — „ნაპოლის" მატჩის მეორე დღეს, სადაც ნეაპოლელებმა 2:3 წააგეს. ნეაპოლის მაფიას არ სჯეროდა, რომ გუნდი ზედიზედ მეორედ გახდებოდა იტალიის ჩემპიონი და „მილანის" გამარჯვებაში დიდი ფული ჩადო. ამის გამო „ნაპოლის" ფეხბურთელები თამაშს თამაშზე აგებდნენ.

პულიეზემ დაასახელა პირები, რომლებიც „ნაპოლის" ფეხბურთელებსა და მაფიას შორის შუამავლის როლს ასრულებდნენ. ესენი იყვნენ: 46 წლის როსარიო ვილონე, 38 წლის ვინჩენცო ბოუნდონი და გილერმო კოპოლა — იმ დროისთვის მარადონას მენეჯერი. პირველი ორი უკვე დაპატიმრებულია, ხოლო მესამეს პოლიცია ველარ შესწვდა, რადგან იგი კარგა ხანია არგენტინაში ცხოვრობს. წინა კვირას კოპოლა ბუენოს-აირესში მარადონას „რასინგის" მწვრთნელად დანიშვნის აღსანიშნავ წვეულებაზე ნახეს. ამჟამად იგი ურუგვაიში ატარებს შვებულებას. პოლიციას კოპოლას დაკავების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ იგი იტალიის საზღვარს გადაკვეთს. ამბის სიმართლეს მასიმო კრიპას ხელის მოწერაც მოწმობს, რომელიც ამ საქმის გამომძიებლის კაბინეტში დევს. აქ აღნიშნულია „ნაპოლის" ფეხბურთელების საზეიმო მოგზაურობის დეტალები: 1990 წლის 29 აპრილს, ორი საათის შემდეგ, რაც ბარონის გოლის წყალობით „ნაპოლიმ" დაამარცხა „ლაციო" — 1:0 და ზედიზედ მეორედ მოიგო „სკუდეტო", გუნდის ფეხბურთელები თავიანთ ცოლებსა და საცოლეებთან ერთად იახტაზე („ანჟელინა ლაურო") ავიდნენ. საღამოს, შუა ზღვაში მათ შეხვდა იახტა, რომლიდანაც კოპოლამ დაიძახა, „ბიჭებო, ყველას გვეყოფაო" (ამას ადასტურებენ „ნაპოლის" ფეხბურთელების ცოლები ფულვია ფრანჩინი და მონიკა რენიკა), მხედველობაში იყო ნარკოტიკები. ამის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი საბაზანოში შევიდა, რათა ნარკოტიკი მიეღო.

საინტერესოა, რომ მასიმო კრიპა (რომელიც ამჟამად „პარმაში" თამაშობს) უარყოფს თავის კავშირს სასამართლო ორგანოებთან. ჩირო ფერარა აცხადებს, მარადონასთან მეგობრობა მისი ყველა აზრისა და მიდრეკილების გაზიარებას სულაც არ ნიშნავსო. აურზაური იტალიურ ფეხბურთში ბევრი ყოფილა, მაგრამ ასეთი სკანდალი, რომელშიც „ნაპოლი" გაეხვია, ისტორიას არ ახსოვს.

თარგმნა

გოგა კვიციანმა

# ბულგარელები ემზადებიან

საქართველოს ნაკრების მეტოქე ბულგარეთის ეროვნული გუნდი მზადებას იწყებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის — იგი 22 თებერვალს ბუენოს-აირესში ამხანაგურ შეხვედრას გამართავს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ არგენტინის ნაკრებთან. ამ დღეებში გამოცხადდა, რომ ბულგარელთა მთავარმა მწვრთნელმა დიმიტარ პენევმა ნაკრებთან კონტრაქტი 1995 წლის ბოლომდე გააგრძელა.



GEORGIAN
MARITIME
BANK



მომსახურება მინიმალური ტარიფებით

საერთაშორისო საბანკო ოპერაციები სამი საბანკო დღის ვადაში

ვალუტის კონვერტაცია

ნაღდი ფულის ინკასაცია

ბაცვეთილი ფულადი ნიშნების შესყიდვა

საქართველოს საზღვაო ბანკი

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საზღვაო ბანკი — მომავლის ბანკია

## განცხადებები

**იყიდება**

2,5 ოთახიანი ბინა თემქაზე. მე-3 მიკრორაიონი მე-2 კვარტალი, 30-ე კორპუსი, პირველი სადარბაზო, მე-8 სართული, ბინა 24. (სახლი 9 სართულიანია). იკითხეთ დოლიძე.

\+ + +

საკუთარი სახლი 100 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართით, დიდი ნაკვეთით, გარაჟით, სარდაფით. საკუთარი გათბობით. კალონკით, ტელეფონით. მისამართი: კოლექტივიზაციის ქუჩა N 81. (კიკვიძის ბაღთან). ტელ.: 66-40-67.

\+ + +

კეთილმოწყობილი ორსართულიანი ბინა 11 ოთახითა და ყველა სათავსოთი ნაძალადევის რაიონში. აქვს 300 კვ.მ. ეზო. ეზოში მსხმოიარე ყველანაირი ხეხილით. საწყისი ფასი 13000 დოლარი. მისამართი: ნაძალადევის რაიონი. კოლექტივიზაციის III შესახვევი N 26. იკითხეთ ვანო (კიკვიძის პარკის მიმდებარე ტერიტორია).

\+ + +

2 ოთახიანი ბინა 46 კვ.მ. ფართით, დიდი ლოჯით, სამზარეულოთი, ტუალეტითა და აბაზანით. ბინა ახალი გარემონტებულია. მის: გრიშაშვილის ქუჩა N 45. ფასი 4500 დოლარი. ბინის ნახვა შეიძლება ნებისმიერ დროს.

სარედაქციო კოლეგია

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (რედაქტორი), გივი ბოლოთაშვილი (უცხოეთი), დავით კახაბერი („თვალსაწიერი"), შადიმან შამანაძე (პუბლიცისტიკა), ვახტანგ სალია (გაზეთის დირექტორი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.